ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

გიორგი დათუაშვილი
თსუ

სოლომონ ლიონიძე და 1796 წელს ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია 1796 წელს ერეკლე II-ის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება, რომელშიც უმთავრესად თბილისელი ვაჭრები და მათთან დაახლოებული პირები მონაწილეობდნენ. ცნობილია, რომ ის გამჟღავნდა და უშედეგოდ დასრულდა.[1] შეთქმულების მიზეზად ეკონომიკური ფაქტორი სახელდება.[2] საქმე ისაა, რომ 1795 წლის კრწანისის ბრძოლამ და თბილისის აოხრებამ დიდი პოლიტიკური დარტყმა მიაყენა ქვეყანასა და მოსახლეობას. მოსახლეობის ერთი ნაწილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ გაჩენილ შავ ჭირს შეეწირა, ხოლო თბილისის ზოგიერთმა მკვიდრმა თავს ემიგრაციით უშველა.[3] დიდი ზარალი მიადგა სავაჭრო-სახელოსნო სფეროს და მთლიანად ეკონომიკას.[4] აღა-მაჰმად-ხანი აქტიურად არბევდა არა ირანული ორბიტის ქალაქს, არამედ პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც განსხვავებულ ქალაქს.[5]

ქართული ისტორიოგრაფია სწორედ აღნიშნულ ვითარებასთან აკავშირებს ერეკლე მეფის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებას.[6] ისტო-

[1] ი. ალიმბარაშვილი. სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მოღვაწეობის ერთი საგულისხმო მომენტის შესახებ. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის შრომათა კრებული. №16. თბ. 2018, გვ. 10.

[2] იხ.: Г. Натадзе. Крестьяне «Сахасо» в Восточной Грузии в конце XVIII столетия. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი V. ტფ. 1937, გვ. 364; მ. დუმბაძე. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 774.

[3] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია. თბ. 1958, გვ. 221.

[4] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, გვ. 232.

[5] თბილისის ისტორია. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თბ. 1990, გვ. 396.

[6] თბილისის ისტორია. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, გვ. 400; მ. დუმბაძე. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები, გვ. 774.

რიული საბუთებით ირკვევა, რომ ეს ზემოხსენებული მეფე ერეკლეს გაუმხილა მდივანბეგმა – სოლომონ ლიონიძემ, რომელსაც მეფემ, შეთქმულების ჩახშობის პარალელურად, მდივანბეგობა, მამულები და პოლიტიკური უფლებები ჩამოართვა.[7]

როგორც ცნობილია, სოლომონ ლიონიძე ერეკლე II-ის ერთგულ თანამოაზრედაა მიჩნეული. ის დიპლომატიური სამსახურის გარდა, კარგი მეომარიც იყო, რის გამოც მეფისგან ადრევე მიიღო პატივის სიგელი და ასევე „გერბი ვაჟკაცობისა“.[8] მის სახელთანაა დაკავშირებული ცნობილი „ტრაქტატი ივერიელთა“.[9] შესაბამისად, ერთგვარად დამაბნეველია ის ფაქტი, რომ შეთქმულების გამჟღავნების პარალელურად, მეფემ ის დასაჯა.

შეთქმულების შესახებ 1918 წელს საინტერესო სტატია გამოაქვეყნა პ. კარბელაშვილმა. ავტორი მოღალატეებს უწოდებდა თბილისის სომეხ მოქალაქეებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ შეთქმულებაში. მისი აზრით, სოლომონ მსაჯულს სწორედ ეს ხალხი დაუპირისპირდა.[10] მიუხედავად ამისა, მკვლევარს დეტალურად არ განუხილავს სოლომონ ლიონიძის შერისხვის საკითხი.

ტ. რუხაძემ განიხილა ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მისი გადმოცემით: „აუხსნელია, თუ რამ გამოიწვია ეს კონფლიქტი. ერთგან ნათქვამია: ირაკლიმ სოლომონს ენამიტანიობა დასწამა და ამიტომ დასაჯაო.“[11]

ნ. კანდელაკის აზრით სოლომონ ლიონიძის შერისხვა, მისივე წარმატებით გაბოროტებული ფეოდალების შუღლით იყო გამოწვეული: „წარჩინებული კარისკაცის დიდი წარმატება მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჯერ ფარული შურით აღინიშნა და შემდეგ გამჟღავნებული შუღლითა და მტრობით. ამ მტრობის შედეგად, როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის 1796 წელს ჩამოვარდა უთან-

[7] მ. ბერძნიშვილი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა). ქართული წყაროთმცოდნეობა. I. თბ. 1965, გვ. 131.

[8] მ. დუმბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია-აფხაზეთის სამთავროების მფარველობაში აყვანა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 868; გ. საითიძე. დიდი მსაჯული და მრჩეველი სოლომონ ლიონიძე. დიდნი საქმენი. თბ. 2011, გვ. 340.

[9] ნ. კანდელაკი. სოლომონ ლიონიძე ქართული მჭერმეტყველების კლასიკოსი. თბ. 1962, გვ. 5.

[10] პ. კარბელაშვილი. სომეხთა ისტორიული უმადურობა. გაზ. საქართველო. №251. თბ. 1918, გვ. 3.

[11] ტ. რუხაძე. სოლომონ მსაჯული. ლიტერატურული ძიებანი. ტ. III. თბ. 1947, გვ. 180.

ხმოება, რასაც მოჰყვა მათი გათიშვა. ეს გათიშვა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი – მეფემ შეიცნო კარისკაცის სიმართლე, მისი უანგარო ერთგულება და შეირიგა ის.“[12]

საკითხით დაინტერესდა ი. ალიმბარაშვილიც. მკვლევარი განიხილავდა დოკუმენტურ მასალას რომელიც ადასტურებდა, რომ მეფე ერეკლეს დაუპირისპირდნენ თბილისის სომეხი მოქალაქეები და ვაჭრები. ავტორმა შეთქმულებიდან გამოყო დარჩია ბებუთოვი (ბებუთაშვილი), მანუჩარ, შიოშ, სულხან თუმანიშვილები და მათი თანამოაზრეები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მეფის პოლიტიკით და სურდათ მისი ძალაუფლების შეზღუდვა.[13]

მიუხედავად ისტორიოგრაფიაში გამოთქმული გარკვეული მოსაზრებებისა, ვფიქრობთ, რომ 1796 წლის შეთქმულებაში სოლომონ ლიონიძის როლზე, მისი შერისხვისა, თუ რეაბილიტაციის საკითხზე გარკვეული დეტალების დაზუსტება აუცილებელია. ამისთვის მოვიხმობთ ისტორიულ საბუთებს.

არაერთი ისტორიული საბუთით დასტურდება, რომ სოლომონ ლიონიძეს დაუპირისპირდნენ თუმანიშვილები, ბებუთაშვილები და სხვები. ზოგიერთი მათგანი იყო თანამდებობის პირი. მაგალითად იოსებ ბებუთაშვილი იყო მიშკარბაში, დარჩია ბებუთაშვილი თბილისის მელიქი, თუმანიშვილები ფლობდნენ მდივნების, ლაშქარნივისნისა, თუ სხვა თანამდებობებს.[14] დოკუმენტური მასალა გვეხმარება ქრონოლოგიურად გავიაზროთ სოლომონ ლიონიძის როლი ჩვენთვის საინტერესო საკითხში.

1796 წლის 22 აგვისტოს შიოშ თუმანიშვილის წერილში მანუჩარ მდივნისადმი, ჩანს, რომ სოლომონ ლიონიძემ „მრავალი საკურველი საქმე გამოაცხადა“. შინაარსიდან იკვეთება, რომ ადრესანტი მეტად შეწუხებული და შეშინებული იყო, რადგან ერეკლე მეფეს ჯერ გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული თუმანიშვილებთან და მათ თანამოაზრეებთან დაკავშირებით.[15] 1796 წლის 30 აგვისტოს დარჩია ბებუთოვმა (ბებუთაშვი-

[12] ნ. კანდელაკი. სოლომონ ლიონიძე ქართული მჭერმეტყველების კლასიკოსი, გვ. 7.

[13] ი. ალიმბარაშვილი. სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მოღვაწეობის ერთი საგულისხმო მომენტის შესახებ, გვ. 14-15.

[14] იხ.: ს. კაკაბაძე. საქართველო ერეკლე II-ს დროს. შვიდი მნათობი. №2. თბ. 1919. გვ. 180-181; ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. ტ. I. თბ. 1952, გვ. 166; რ. მარნაძე. თუმანიშვილების სათავადო (XV-XIX სს.). ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2022, გვ. 178-181.

[15] მ. ბერძნიშვილი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან

ლი) მისწერა წერილი მანუჩარ მდივანს, სადაც სოლომონ ლიონიძე, „სოლომონ დეკანოზიშვილად“ იყო მოხსენიებული,[16] რაც მისი პოლიტიკური ჩამოქვეითების მანიშნებელია. 30 აგვისტოს წერილიდან ირკვევა, რომ დარჩია ბებუთაშვილი, რომელიც სოლომონის მტრად მოიაზრება, გამართლებულა.[17] აღსანიშნავია 1796 წლის 31 აგვისტოს წერილი, რომლის ადრესანტი შიოშ თუმანიშვილია, ადრესატი კი სულხან თუმანიშვილი. წერილის მიხედვით ეს უკანასკნელიც გამართლებულა.[18] ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ 1796 წლის აგვისტოს ბოლოს, სოლომონ ლიონიძეს პოლიტიკური უფლებები ჩამორთმეული ჰქონდა. 1796 წელს 11 სექტემბრს შიოშ თუმანიშვილი მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიწერილ წერილში სოლომონის დასჯის გამო სიხარულს ვერ მალავდა: „სოლომონ დიაკვნის ამბავი ხომ სრულად მომიწერია, ამისი საქმე ასე არის, რომ მგონია ლუკმის ნატრული შეიქმნას“.[19] გარდა ამისა, მსაჯულის ჩამოქვეითებაზე მიუთითებს მეფე ერეკლეს 1796 წლის 30 ნოემბრის ბრძანება მელიქ დარჩიასადმი, რომ „აქიმ“ ოსეფასთვის ებოძებინათ ორი სამეფო დუქანი, რომელიც უწინ სოლომონ ლიონიძეს ეკუთვნოდა: „ჩვენი ბრძანება არის აქიმი ოსეფა ჩვენიცა და ქვეყნის ნამსახურია. და მოსამსახურე კაცია და გარჯილობაცა აქვს, ჩვენის მოედნის დუქნებიდან, რომელიც დეკანოზისშვილს სოლომონს ეჭირა იქიდამ ორი დუქანი ოსეფა აქიმისთვის გვიბოძებია“.[20]

გარდა თუმანიშვილებისა და ბებუთოვისა, საინტერესოა 1796 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ფიგურანტის – გოდერძის ორი წერილიც. ამ უკანასკნელის მიხედვით რთულია გოდერძის ვინაობის ზუსტად დადგენა[21], მაგრამ უნდა ითქვას, რომ მის მიერ მიცემული ჩვენებები საინტე-

(ეპისტოლარული მასალა), გვ. 130.

[16] როგორც ცნობილია სოლომონ ლიონიძის მამა ანდრია დეკანოზი იყო. ის ერეკლე მეფის ახალგაზრდობაში ტყვედ მოიყვანეს, მიაბარეს მონასტერს, მონათლეს, ასწავლეს საეკლესიო კითხვა-გალობა და სასულიერო პირად აკურთხეს. იხ.: პ. კარბელაშვილი. სომეხთა ისტორიული უმადურობა, გვ. 3.

[17] მ. ბერძნიშვილი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), გვ. 132.

[18] მ. ბერძნიშვილი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), გვ. 133.

[19] მ. ბერძნიშვილი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), გვ. 134.

[20] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლებში. თბ. 2008, გვ. 222.

[21] საინტერესოა, რომ გოდერძის პიროვნებით დაინტერესდნენ მკვლევრები. მაგალითად ი. ალიმბარაშვილის აზრით გოდერძი გვარად პაპუაშვილი იყო (იხ.: ი. ალიმბარაშვილი. სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მოღვაწეობის ერთი საგულისხმო მომენტის შესახებ, გვ.

რესოა.

მისი წერილები ეხება მეფე ერეკლეს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებას, თუმცა მათი შინაარსი განსხვავებულია. გოდერძის ერთ წერილში ნათლად ჩანს, რომ მეფის წინააღმდეგ მოქმედებდნენ თბილისელი ვაჭრები, მოქალაქეები და მათი თანამოაზრეები. საინტერესოა, რომ სხვა წერილში, რომელიც განსხვავებული პათოსითაა დაწერილი და წარმოადგენს გოდერძის სინანულისა და შენდობის თხოვნას, მეფის მოღალატედ უკვე სოლომონ ლიონიძეა დასახელებული.[22] ბუნებრივია ამ განსხვავებულ დეტალებს დაზუსტება სჭირდება.

ერთ წერილში, ფიგურანტი აღნიშნავდა, რომ ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედებდნენ მისკარბაში იოსები, ბასტამაშვილი სტეფანე და მათი „ამხანაგები". მათ გიორგი ბატონიშვილის მიმხრობა სურდათ, რისთვისაც ერეკლეს ძაგებასაც კი არ ერიდებოდნენ. წერილიდან ირკვევა, რომ მცდელობის მიუხედავად, მათ მეფის ძე გიორგის შეთქმულებაში ჩართვა არ გამოუვიდათ.[23] გოდერძი შეთქმულების ინიციატორად ბასტამაშვილსა და მისკარბაშს ამხელდა, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა დოკუმენტური მასალითაც დადასტურებულია,[24] მაგრამ გამოსარკვევია, თუ რატომაა „გოდერძის სინანულის წერილში" სოლომონ ლიონიძე მეფის მოწინააღმდეგედ მხილებული.

„სინანულის წერილიდან" თვალსაჩინოდ ჩანს, რომ გოდერძი ერთხანს სოლომონ ლიონიძის თანამოაზრე იყო, მაგრამ წერილის დაწერისას ის ნანობდა, რომ მსაჯულმა დაარწმუნა და გადაიბირა: „ბატონს ის ამბავი გაუახლე, აღარ ეხსომებაო, და მოქალაქეთ სახელს ეგ მაგონებდა. და რაც მოგახსენეო წერილით, სულ მაგისი გაკეთებული იყო და გაზეპირებული".[25]

ზემომოხმობილ „ამბავში" უნდა იგულისხმებოდეს ერეკლე მეფის წინააღმდეგ დარაზმული შეთქმულებისა და მათი თანამოაზრეების სა-

16). ამ აზრს ეწინააღმდეგება მაქს. ბერძნიშვილი, მისი აზრით გოდერძი არა პაპუაშვილი, არამედ პაპუას შვილი და გვარად ფირალიშვილი იყო (იხ.: მაქს. ბერძნიშვილი. ერეკლე მეფის კონფიდენტ გოდერძის ვინაობისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. I. თბ. 1965, გვ. 110-120.).

[22] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III. ტფ. 1910, გვ. 105-106.

ე. თაყაიშვილი წერილებს პირობითად 1784-1795 წლებით ათარიღებდა, თუმცა ისინი აშკარად 1796 წელსაა შედგენილი.

[23] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 106-107.

[24] ი. ალიმბარაშვილი. სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მოღვაწეობის ერთი საგულისხმო მომენტის შესახებ, გვ. 14-15.

[25] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 105-106.

კითხი. გოდერძის სიტყვით სოლომონ ლიონიძემ ის მოატყუა და მახეში გააბა. მოცემული დოკუმენტური მასალიდან იმის გარკვევაც შესაძლებელია, თუ რატომ დაუჯერა მან მსაჯულს. ერთ მიზეზად გოდერძი ახსენებდა მის ბიძაშვილს – შაქარა ჩარჩისშვილს, რომელიც მისი თქმით, მდივან-ბეგს მასთან დასაახლოებლად გამოუყენებია და ასევე მეორე მიზეზი ის იყო, რომ გოდერძის სურდა ბატონთან, ანუ მეფესთან გამოჩენა და მასთან დაახლოება: „შენ თუ ბატონს ამას მოახსენებ, ნახე რა დიდი ერთგულობა იქნება ამაშია, და ხომ ხედავ, არც ამა გიორგი ბატონისშვილის საზარალო არისო, და ბატონი ხომ ჩემს ხელთ არისო, ამისი მე ვიცი; რაკი შენ მოახერხებ, მე ხო არას დამიმალავსო“.[26]

რეალურად გოდერძის ჩვენების სანდოობა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო წერილის დაწერის გამო ეჭვს იწვევს, მაგრამ გამოსარკვევია თუ რატომ გადაწყვიტა მან სოლომონ ლიონიძის მხილება და მის წინააღმდეგ წასვლა.[27] ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხი, ჩვენი აზრით, გოდერძის „სინანულის წერილშივეა“ ნახსენები: „ხანი რომ გამოვიდა და ლაპარაკი შეიქმნა, ბატონი და მდივან-ბეგი სოლომან ველარ იწყობიანო, მაშინ და მოქალაქეთ დავაც შეიქნა, შემოვიკარ თავში და მრავალი ვიტირე, ასრე დამაქცევინა ოჯახი ამანა-მეთქი“.[28]

ამრიგად, შეთქმულებაში მონაწილე ფიგურანტს გაუაზრებია, რომ ერეკლესა და სოლომონ ლიონიძეს შორის ურთიერთობის გაუარესება მისთვის საზიანო იყო. თუ ერეკლე სოლომონ ლიონიძეს დაუპირისპირდებოდა, სოლომონის „კონფიდენტ“ გოდერძისაც არ დაადგებოდა კარგი დღე, შეეშინდა და ამიტომაც დაწერა წერილი, სადაც „ამხილა“ მდივანბეგი. როგორც ჩანს, სოლომონ ლიონიძის შერისხვის საქმეში გოდერძის ჩვენებამაც გარკვეული როლი ითამაშა.

აღნიშნული საკითხის შესახებ თავად სოლომონ ლიონიძე მუდმივად მიუთითებდა მის უდანაშაულობაზე. მდივანბეგი აცხადებდა, რომ მას სერიოზული ოპოზიცია დაუპირისპირდა, რომლებმაც იცრუეს და ერეკლესთან დაასმინეს.[29]

მდივანბეგის შერისხვის საკითხზე მსჯელობისას, მეტად საყუ-

[26] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 105.
[27] აღსანიშნავია, რომ ი. ალიმბარაშვილის აზრით გოდერძი მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში ჩართულმა ოპოზიციონერებმა გადაიბირეს. იხ.: ი. ალიმბარაშვილი. სოლომონ ლიონიძის პოლიტიკური მოღვაწეობის ერთი საგულისხმო მომენტის შესახებ, გვ. 16.
[28] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 105.
[29] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 370-371.

რადღებოა 1796 წლის 29 ივლისით დათარიღებული დიმიტრი ორბელიანის წერილი მილახვარ იოსებისადმი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო როგორც წერილის შინაარსმა, ისე ავტორმა. დასახელებულ წერილში ორბელიანი აღნიშნავდა, რომ ის დავით ბატონიშვილს ესტუმრა, სადაც დახვდა სოლომონ მსაჯული. ორბელიანი აფიქსირებდა, რომ თვითონ მოწიწებითა და კეთილშობილურად ექცეოდა მდივანბეგს, მაგრამ მას ეს ვერ შეუფერებია. მეტიც, მას დაუწყია გარშემომყოფებისა და ერეკლეს ლანძღვა: „რაღა არის, პარკში ძვლები ჰყრია, იმას რაღა მეფობა შეუძლიან და რაღა მოვლა ქვეყნისაო. რამდენი ამისთანა მაოხრა, განსაჯოს კაცმა“. დიმიტრი ორბელიანის სიტყვით, მისმა ძმამ გიორგიმ თავი ვერ შეიკავა და ლიონიძეს ფიზიკურადაც დაუპირისპირდა.[30]

აღსანიშნავია, რომ წერილის ადრესატი – მილახვარი იოსები – დარეჯანთან დაახლოებული პირი იყო. როგორც ჩანს, ორბელიანმა მისი პიროვნება საგანგებოდ შეარჩია, რომელიც ამ ინფორმაციას სამეფო კარზე მიიტანდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერეკლეს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება სოლომონმა გაამხილა, რასაც თავდაპირველად შეთქმულების ერთ-ერთი ფიგურანტი გოდერძიც ადასტურებდა. პირველ ეტაპზე თუმანიშვილებიც შიშობდნენ მათ პოლიტიკურ ბედზე, რადგან არ იცოდნენ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მეფე ერეკლე. მალევე ვითარება შეიცვალა **და**თუმანიშვილები გაამართლეს, გოდერძიმაც ჩვენება შეცვალა, **ხოლო** სოლომონ ლიონიძე კი გაამტყუნეს. ამ ყველაფრის ფონზე საინტერესოა დაისვას კითხვა, თუ რა როლი ითამაშა დიმიტრი ორბელიანმა და მისმა წერილმა სოლომონ ლიონიძის შერისხვაში. რეალური ვითარების უკეთ გამოსარკვევად, ვიდრე მის პიროვნებას საგანგებოდ შევეხებოდეთ, თვალი გავადევნოთ სოლომონ ლიონიძის რეაბილიტაციის საკითხსაც.

სოლომონ ლიონიძის მიერ 1797 წლის 5 აგვისტოს ერეკლესათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ჩემს დანაშაულადა ვხედავ ამას რომ თქვენი საკადრისი ყოფაქცევა არა მქონდა და სხვებრ წარმავალმა ცუდმა მტერობამ რაც ჩემზე იმოქმედა; როგორც იმედი მქონდა ისე ისულგრძელეთ და გაუწყათ ღ[მერ]თ[მა]ნ ჩემი უბრალოება“.[31] საბუთის მიხედვით, სავარაუდებელია, რომ 1797 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის

[30] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 373.

[31] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.), Qd-9364.

ერეკლე II-მ შეიცნო სოლომონის უდანაშაულობა. სოლომონის რეაბილიტაციის ფაქტი დადასტურებულია სხვა საარქივო მასალითაც, მათ შორის, დარეჯან დედოფლის მიერ გაცემული მოწმობის წიგნით, რომელიც ერეკლე II-ის მიერ სოლომონ ლიონიძისათვის მამულების დაბრუნებას ეხება,[32] ასევე მირიან, იოანე, დავით ბატონიშვილებისა და სხვა წარჩინებული პირების გაცემული მოწმობა, იმის შესახებ, რომ ერეკლე II-მ სოლომონ ლიონიძეს გამართლების შემდეგ მამულები დაუბრუნა.[33] დარეჯან დედოფლის მიერ გაცემულ მოწმობის წიგნში ვკითხულობთ: „თუმცა მტერთაგან დაბიზღებით სანატრელის მეფისაგან მამულების სიგლები სულ ჩამომერთვა მაგრამ როდესაც ჩემი სიმართლე და უბრალოება სცნა იმისმა უმაღლესობამ; მამულების სიგლებიცა და წანართმევი საქონელიც სრულებით მიბოძა. და დიდის მოწყალებითაც წუხდა იმავ მახლობელს მიცვალების ჟამებში მტერთაგან ჩემის უსამართლოდ წახდენისათვის“.[34] ბატონიშვილებისა და წარჩინებული პირების მიერ გაცემულ წიგნში სოლომონს უმოწმებენ შემდეგს: „ერეკლეს რომ დამაბიზღეს და საქონლითაც ამიკლეს და მამულის სიგლებიც ჩამომართვეს, როდესაც მისმა სიმაღლემ ჩემი სიმართლე სცნა ანაკლები საქონელიცა და მამულის სიგლებიც ისევ მიბოძა“.[35] საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ სოლომონ ლიონიძე მისი შერისხვის მიზეზად „მტერთაგან უსამართლოდ წახდენას“, „სხვებრ წარმავალ მტრობას“ ასახელებს, რომელშიც უნდა მოვიაზროთ თუმანიშვილები, ბებუთაშვილები, გოდერძი, დიმიტრი ორბელიანი და სხვანი. ასევე საარქივო მასალის მიხედვით ეჭვგარეშეა, რომ მსაჯული მეფე ერეკლეს სიცოხლეშივე რეაბილიტირებულა.

მსაჯულის მეფის სიცოცხლეშივე რეაბილიტაციის საკითხს, ასევე ეხება 1804 წლის 22 მაისის სოლომონ ლიონიძის წერილი პავლე ციციანოვისადმი. მდივანბეგი სხვა სინამდვილეში, XIX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ თავის ბიოგრაფიაზე საუბრისას დასძენდა, რომ მისი პოლიტიკური ჩამოქვეითების შემდეგ, მეფე ერეკლეს მალევე შეუცვნია მისი უდანაშაულობა და აღუდგენია მისთვის ჩამორთმეულნი.[36]

როგორც გამოჩნდა 1796 წელს სოლომონ ლიონიძე შეირისხა, მაგ-

[32] ხეც. Hd-2859; საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ცენტრალური საისტორიო არქივი (ცსა) ფონდი 1449, საბ. 1748.
[33] სეაცსა. ფონდი 1449, საბ. 1749.
[34] ხეც. Hd-2859; სეაცსა. ფონდი 1449, საბ. 1748.
[35] სეაცსა. ფონდი 1449, საბ. 1749.
[36] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. II. Тифлис, 1868, გვ. 380.

რამ მალევე, მეფემ მას პოლიტიკური უფლებები აღუდგინა. მდივანბეგის 1796 წელს შერისხვა და მისი სწრაფი რეაბილიტაცია შესაძლოა უკავშირდებოდეს დიმიტრი ორბელიანსა და მის ზემოთ მოტანილ წერილს. ამ საკითხზე მსჯელობისათვის საინტერესოა გავიაზროთ მისი ბიოგრაფია. როგორც ცნობილია, დიმიტრის მამა, თავადი ზაალ ორბელიანი რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა და მას მფარველობდა ეკატერინე II-ის არაოფიციალური ქმარი ორლოვი. რაც შეეხება დიმიტრის, ის სწორედ ორლოვის პროტექციით რუსეთის სამხედრო სასწავლებელში მიუღიათ.[37] მან 1769 წლიდან რუსეთში კაპრალად დაიწყო სამხედრო სამსახური. აღსანიშნავია, რომ 1791 წელს მონაწილეობდა ანაპის აღებაში და სწორედ ის გაგზავნა გენერალ გუდოვიჩმა ეკატერინე II-სთან, რათა ციხის აღება შეეტყობინებინა.[38] სავარაუდებელია, რომ დიმიტრი ორბელიანი მთელი 90-იანი წლების განმავლობში რუსეთის იმპერიის არმიაში ერთგულად მსახურობდა. ამავე ფაქტს ადასტურებს 1799 წლის 18 იანვრის გარსევან ჭავჭავაძის წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, სადაც დიმიტრი ორბელიანი „პოლკოვნიკადაა“ მოხსენებული.[39] ცხადია, ამ წოდების მიღებას გარკვეული დრო სჭირდებოდა და ეს წინა წლების „ღვაწლი“ უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ 1799 წლის 18 იანვრის წერილში გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის მთავრობას სთხოვდა, რომ დიმიტრი ორბელიანი ქართლ-კახეთში საერთოდ აღარ გამოეგზავნათ.[40] წერილში ვკითხულობთ: „უმაღლესობა მეფე, ხელმწიფე ჩემი, მიმღები სათანადოითა აღმსარებლობითა მაღალმონარხიულისა მისის იმპ. დიდებ. მიერ განდიდებისა თხოვილთადმი მისთა პირველადვე მისაქცეველად ყ-თა უწესოებათა ვითარნიცა იშობებიან, ყ-დ ქვეშემვრდომებრივ ითხოვს, რომ ამჟამად საქართვეოსა შ-ა მისის დიდებულების უმაღლესობის ნებით რუსეთის გასაგზავნელს ჯარში არავინ იყვნენ ქართველთაგანნი მიმ-

[37] ი. ცინცაძე. რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვის და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. II. ქუთაისი. 1941, გვ. 90; ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1960, გვ. 144-145.

[38] მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. წიგნი. II. თბ. 1983, გვ. 138-139.

[39] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии. Т. II. Вып. I. С 1768-1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 161-163.

[40] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. III. СПб. 1886, გვ. 243.

სვლელნი მუნ ძალთათანა, ხოლო უფროს პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანოვი, რომელიცა, უკეთუ აქაურთა ჯართა თანა იქმნების მუნ გაგზავნილ, შეუძლებელი არის, რომ ჩემის მეფის ხელმწიფის საეჭვო და საწყენი არ იყოს“.[41]

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ისათვის სრულიად მიუღებელი იყო, რომ ქვეყანაში გამოსაგზავნ რუსული ჯარის რიგებში დიმიტრი ორბელიანიც ყოფილიყო.[42]

საინტერესოა, რომ მეფის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების სხვა ფიგურანტებიც რუსული ორიენტაციის იყვნენ. როგორც ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, თბილისის სომხობას დიდი სიმპატია ჰქონდა რუსეთისადმი. ეს დამოკიდებულება განაპირობა ეკატერინე II-ისა და გრიგოლ პოტიომ-კინის გეგმამ, რომლის მიხედვითაც აზიაში ქრისტიანული სახელმწიფო უნდა დაარსებულიყო. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობიდან „რუ-სოფილურ“ ჯგუფს წარმოადგენდნენ: მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, თბილისის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, სულხან, მისი ძმა მანუჩარ და შიოშ თუმანიშვილები, სოლომან არღუთაშვილი, იოსებ და ავეტიქა შაღ-ბათაშვილი, მილახვარი იოსებ ყორღანაშვილი. იოსებ ბებუთაშვილის სახ-ლი რუსეთის მომხრე ჯგუფის ცენტრად გადაიქცა, სადაც იკრიბებოდნენ თანამოაზრეები, რომელთაც მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ რუსეთში წა-სულ სომეხ მთავარეპისკოპოს იოსებ არღუთაშვილთან. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მომხრე ჯგუფი დაშორებული არ ყოფილა სამეფო კარის-გან და სახელმწიფო საქმეებისაგან.[43]

საინტერესოა, რომ გიორგი XII-ის მეფობის დროს, პოლკოვნიკი ორბელიანის მსგავსად, თუმანიშვილების მდგომარეობაც გართულდა. მეფემ მდივანი მანუჩარ და გივი თუმანიშვილები დააპატიმრა, ხოლო სულხან მდივანს საიდუმლო ყარაული მიუჩინა თავისივე სახლში, თბი-ლისში. მიზეზი იყო ის, რომ მათ კვლავ მეფის (ამჯერად გიორგი XII) წინა-აღმდეგ შეთქმულების მოწყობა სცადეს.[44]

როგორც ვხედავთ, 1796 წლის შეთქმულების პრაქტიკულად ყვე-ლა ფიგურანტი გამოკვეთილად რუსული ორიენტაციის მომხრე იყო. იმ

[41] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии. Т. II. Вып. I. С 1768-1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, გვ. 161-163.

[42] დიმიტრი ორბელიანი 1800 წელს გენერალ-მაიორი გახდა. იხ.: Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. I. Тифлис, 1866, გვ. 227.

[43] ს. კაკაბაძე. საქართველო ერეკლე II-ს დროს, გვ. 180-181.

[44] პ. კარბელაშვილი. სომეხთა ისტორიული უმადურობა, გვ. 3.

დროს კი, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია სამხრეთ კავკასიაში დიდი პოლიტიკური მიზნების გადაჭრას ცდილობდა. კერძოდ, ეკატერინე II-ის გადაწყვეტილებით კრწანისის ბრძოლის შემდგომ, 1795 წლის დეკემბერში, რუსთა ორი ბატალიონი საქართველოში შემოვიდა, ხოლო ორი ბატალიონი დაღესტანში გაიგზავნა. საბოლოოდ, 1796 წლის დასაწყისიდან სამხრეთ კავკასიაში ვალერიან ზუბოვის სარდლობით რუსეთის ჯარის ლაშქრობა დაიწყო. მართალია, რუსეთის მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა, რომ ერეკლეს დახმარება სურდათ, მაგრამ, როგორც ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, რუსეთის კავკასიური გეგმები საეჭვოდ გამოიყურებოდა. რეალურად, რუსეთის მთავრობას სამხრეთ კავკასიაში სრული გაბატონება სურდა.[45] შესაბამისად, ისინი, ერთი მხრივ, ერეკლეს სესხის გამოყოფაზე უარს ეუბნებოდნენ, მეორე მხრივ, ცდილობდნენ ბატონიშვილები – იულონ, ალექსანდრე ერეკლეს ძეები და დავით გიორგის ძე, რუსეთში გაეწვიათ.[46] ამავე დროს, რუსულმა მხარემ გადაწყვიტა განჯაში, რომელიც ერეკლე მეფის ძალაუფლების ქვეშ მოიაზრებოდა, 2000 ახალგაზრდა რუსი დაესახლებინა და მომავალ დაპყრობათა პლაცდარმად გადაექცია.[47]

ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ექსპანსიონისტურ გეგმებსა და 1796 წლის შეთქმულებას შორის გარკვეული კავშირი უნდა ყოფილიყო. მეფის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება ეკატერინე II-ის გეგმებს ხელს თუ არ შეუწყობდა, არ შეუშლიდა მაინც. სოლომონ ლიონიძესაც ადგილობრივი რუსოფილური ჯგუფის წარმომადგენელები და რუსეთის არმიის წევრი დიმიტრი ორბელიანი დაუპირისპირდნენ, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მისი პოლიტიკური ჩამოქვეითების საქმეში. ისიც ფაქტია, რომ ეკატერინე II-ის გარდაცვალების გამო (1796 წლის 6 ნოემბერი) რუსეთის არმიის სამხრეთ კავკასიური ლაშქრობის მოშლის შემდეგ, სოლომონ ლიონიძეს რეაბილიტაცია მოხდა, ხოლო დიმიტრი ორბელიანი და ადგილობრივი შეთქმულ პრორუსულ ჯგუფის წევრთა უმეტესობა ქართლ-კახეთის სამეფო კარისათვის მიუღებელ პირებად იქცნენ.

[45] მ. დუმბაძე. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები, გვ. 772-773.
[46] მ. დუმბაძე. ერეკლეს მეფობის უკანასკნელი წლები, გვ. 772-773.
[47] მ. დუმბაძე, ზ. ცქიტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 766-768.

Giorgi Datuashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SOLOMON LIONIDZE AND CONSPIRACY OF 1796 AGAINST EREKLE II

Summary

In Georgian historiography, we find a conspiracy against Erekle II in 1796, in which mainly Tbilisi merchants and people close to them participated. It is known that this conspiracy was reported to the king by Solomon Lionidze and the conspiracy ended in vain.

As is known, Solomon Lionidze is considered a loyal associate of Erekle II. In addition to his diplomatic service, he was also a good warrior, which is why he received a certificate of honor from the king early on, so it is confusing that the king punished him at the same time as the conspiracy was revealed.

The reason for the conspiracy is the economic factor. The battle of Krtsanis in 1795 and the sacking of Tbilisi dealt a great political blow to the country and the population. As a result, great losses were incurred in the trade-workshop sector and the economy as a whole. Therefore, the disgruntled citizens tried to organize a conspiracy against the king It should also be noted that at the time of the raid on Tbilisi, the Persian attitude of the citizens was greatly weakened. The conspiracy of 1796 against King Erekle should be related to this situation.

In the article, we integrated the opinions expressed in Georgian historiography. The researchers expressed their opinions, but we think it was necessary to clarify some details. In the work, we integrated historical documents and archival materials.

There are a number of documents that confirm that Tumanishvili, Bebutashvili and others confronted Solomon Lionidze. Some of them were officials. It was also interesting to discuss the letters written by Goderdzi, one of the figures of the conspiracy, as well as the role of Dimitri Orbeliani in

provoking Lionidze. Obviously, these materials were about Solomon Lionidze and the conspiracy.

The discovery of Solomon Lionidze in the crime was doubtful considering that we are facing his rapid political rehabilitation. Solomon Lionidze's letter to Erekle II on August 5, 1797 is preserved in the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, on the basis of which it can be assumed that by the beginning of August 1797, Erekle II confessed Solomon's innocence. In addition, there are other archival materials, for example, the certificate book issued by Queen Darejani, which refers to the return of estates after the acquittal of Solomon Lionidze by Erekle II. In addition, there are other archival materials, for example, the certificate book issued by Queen Darejani, which refers to the return of estates after the acquittal of Solomon Lionidze by Erekle II. It is clear from the documents that Solomon Lionidze cited the fact that his enemies exposed him unfairly as the reason for his political degradation. Among the enemies, we should consider Tumanishvili, Bebutashvili, Goderdzi, Dimitri Orbeliani and others.

As it turned out, Dimitri Orbeliani, Tumanishvili and other enemies were of Russian political orientation. Therefore, Russia's political plans for both Kartli-Kakheti and the region as a whole in 1796 are interesting. It is known that after the tragedy of Krtsanis, there was still a threat of Agha-Mohammed-Khan's invasion, so the Georgian side asked Russia for help. According to the decision of Catherine II, in December 1795, two Russian battalions entered Georgia, and two battalions were sent to Dagestan. Finally, the campaign in the South Caucasus began in 1796 and the troops were commanded by Valerian Zubov. Ganja, which had been under the power of King Erekle for years, was decided by the Russian side to settle 2,000 young Russians. It should also be said that General Zubov, sent in connection with the campaign in Iran in 1796, tried to send Batonishvili – Iulon, sons of Alexander Erekle and son of Davit Giorgi to Russia. The reason was given by Queen Darejan's desire to take her son Iulon as king, bypassing Giorgi Erekle's son. Zubov spread the word that all this would cause unrest in Eastern Georgia, and therefore Batonishvili should be recalled to Russia. According to the information mentioned above, Russia's expansionist plans can be seen. As officials of the empire participated in the implementation of these goals, it was such a group that opposed Solomon Lionidze, it was the force that provoked the secretary and ultimately played a big role in depriving him of his political rights.

It appeared that in 1796 local forces were operating against Erekle II. They, in turn, confronted Solomon Lionidze. Solomon prevented the conspirators from realizing their goals. All this was followed by the provocation of the judge by the local forces and practically his political punishment, as for the issue of rehabilitation, based on the historical documents published with antiquities and archival materials, we can conclude that he was soon rehabilitated by King Erekle due to his innocence.